სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №5

ქ. თბილისი 22 იანვარი, 2020 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თუნა კონსალტინგი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ქალდანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია კომპიუტერული უზრუნველყოფისა და საკონსულტაციო მომსახურების (CPV-კოდი 72600000) გაწევა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დღგ-ს ჩათვლით).

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველისათვის კომპიუტერული უზრუნველყოფისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ.№7.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი (მისი ნაწილი, ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.2. შესყიდვის ობიექტის (ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით;

6.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმებას, მიღება–ჩაბარებას და შესაბამის საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაზე ხელმოწერას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის კომპიუტერული ქსელების, ტექნიკისა და მომხმარებელთა ასისტირების განყოფილების უფროსი-არჩილ თაყნიაშვილი.

უფლებამოსილი პირი_____

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

- ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუ მიმწოდებელი სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– სერვერების მუშაობის პროცესში, პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში მოახდინოს დროული რეაგირება და პრობლემების გადაჭრა.

- უზრუნველყოს ავტომატურ რეჟიმში ასლების გაკეთება სარეზერვო QNAP სერვერზე.

– უზრუნველყოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული “SIERRA”-ს სერვერების გამართული მუშაობა და კონსულტაციების გაწევა ეროვნული ბიბლიოთეკის IT პერსონალისათვის.

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

9.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. ფორს– მაჟორი

11.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის

და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

13.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

13.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადაგადაცილებისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.7. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.8. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და უფლებამოსილი პირი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად,

წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე- შემსყიდველს.

16 . მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველო, ქ. თბილისი
ლადო გუდიაშვილის ქ. №7
ტელ: 2971 661
ს/კ: 203845018
სახელმწიფო ხაზინა
ანგ. №200122900

მიმწოდებელი

შპს "თუნა კონსალტინგი"

საქართველო, ქ. თბილისი,
ნუცუბიძის ფერდ. III მ/რ, კორპ. 11, ბ. 27
ტელ: 599739337
ს/კ: 404450081
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. №GE04TB7634236020100002

გენერალური დირექტორი

_____

გიორგი ბეკელიძე

დირექტორი

_____

ირაკლი ქალდანი

THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA

Digitally signed by THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA
Date: 2020.01.22 15:13:45 +04'00'